დამტკიცებულია შპს „თბილისის პირველი სამედიცინო
სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 17 ივნისის N01/30 ბრძანებით

შპს “თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

თბილისი 2022 წელი

შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი 3

მუხლი 2. სასწავლებელში დამუშავებული მონაცემები 3

მუხლი 3. მონაცემთა დამუშავების პრინციპები და საფუძვლები 4

მუხლი 4. მონაცემთა დამუშავების მიზნები 6

მუხლი 5. მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე სუბიექტები 6

მუხლი 6. მონაცემთა სუბიექტის უფლებები 7

მუხლი 7. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასა და დავაზე პასუხისმგებელი პირები 8

მუხლი 8. მონაცემთა უსაფრთხოება 9

მუხლი 9. დასკვნითი დებულება 9

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. შპს ,,თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი“ (შემდგომში - ,,სასწავლებელი“) უზრუნველყოფს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას, ასევე პერსონალური მონაცემების (შემდგომში - მონაცემები) დამუშავების წესების და მათი უსაფრთხოების დაცვას.

2. სასწავლებლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა (შემდგომში - პოლიტიკა) განსაზღვრავს სასწავლებელში მონაცემების დამუშავების წესებსა და პროცედურებს, მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის ზომებს.

3. სასწავლებელში მონაცემთა დამუშავება და მათი უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა ნორმატიული აქტებისა და ამ პოლიტიკის შესაბამისად.

მუხლი 2. სასწავლებელში დამუშავებული მონაცემები

1. სასწავლებლის მიერ მუშავდება:

1.1 შემდეგი სუბიექტების მონაცემები:

ა) სასწავლებლის პერსონალი (შრომითი ან მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული პირები);

ბ) პროფესიული სტუდენტი/პროფესიული სტუდენტის წარმომადგენელი;

გ)პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენელი ფიზიკური პირები (დაწესებულება, რომელთანაც სასწავლებელს აქვს საქმიანი კავშირი);

დ)პოტენციური დასაქმებული (კონკურსანტი);

ე) ვიზიტორი;

ვ) განმცხადებელი.

1.2 სასწავლებლის მიერ შესაძლოა დამუშავდეს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პიზიკურ პირთა შემდეგი მონაცემები:

ა) საიდენტიფიკაციო მონაცემები: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების ადგილი და თარიღი, სქესი, ფოტოსურათი, ხელმოწერა, მოქალაქეობრივი კუთვნილება, საბანკო ანგარიშის ნომერი, ავტობიოგრაფია/რეზიუმე (CV), სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია/დოკუმენტი, ანკეტა/განცხადება დასაქმების შესახებ, ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია, სამხედრო ვალდებულების შესახებ ინფორმაცია;

ბ) საკონტაქტო მონაცემები: ტელეფონის ნომერი, მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი;

გ) დოკუმენტის მონაცემები: პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მასში მითითებული მონაცემები - სერია და ნომერი, გამცემი ორგანოს დასახელება, გაცემის ადგილი და თარიღი, მოქმედების ვადა, განათლების და/ან კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და მასში მითითებული მონაცემები, პროფესიული სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტის/აქტები.

დ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები: ფოტო, ვიდეო/აუდიო ჩანაწერი, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, ინფორმაცია ნასამართლობის შესახებ;

ე) სასწავლებელში წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მითითებული სხვა სახის პერსონალური მონაცემები.

2. სასწავლებელში დამუშავებული მონაცემები ინახება მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად.

3. სასწავლებელში დამუშავებული მონაცემები ინახება ელექტრონულად და/ან მატერიალურად.

მუხლი 3. მონაცემთა დამუშავების პრინციპები და საფუძვლები

1. სასწავლებლის მიერ მონაცემების დამუშავება დასაშვებია მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვით და საფუძვლების არსებობისას.

2. სასწავლებლის მიერ მონაცემთა დამუშავებისას დაცული უნდა იქნეს შემდეგი პრინციპები:

ა) მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეულახავად;

ბ) მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით;

გ) მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევადაც მუშავდ ება ისინი;

დ) მონაცემები ნამდვილი და ზუსტი უნდა იყოს და, საჭიროების შემთხვევაში, უნდა განახლდეს. კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და დამუშავების მიზნის შეუსაბამო მონაცემები უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს;

ე) მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3. მონაცემთა დამუშავების საფუძვლებია - მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ:

ა) არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა;

ბ) მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;

გ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;

დ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად;

ე) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;

ვ) კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა;

ზ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;
თ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად).
4. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება შესაძლებელია მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობით ან იმ შემთხვევებში, როცა:
ა) ნასამართლობასთან და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება აუცილებელია შრომითი ვალდებულებების და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის, დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად;
ბ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან მესამე პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და მონაცემთა სუბიექტს ფიზიკურად ან სამართლებრივად უნარი არა აქვს, მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობა განაცხადოს;
გ) მონაცემები მუშავდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის ან დაწესებულების (მუშაკის) მიერ ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე თუ ეს აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვისათვის ან ფუნქციონირებისათვის;
დ) მონაცემთა სუბიექტმა საჯარო გახადა მის შესახებ მონაცემები მათი გამოყენების აშკარა აკრძალვის გარეშე;
ე) მონაცემები მუშავდება პოლიტიკური, ფილოსოფიური, რელიგიური ან პროფესიული გაერთიანების ან არაკომერციული ორგანიზაციის მიერ ლეგიტიმური საქმიანობის განხორციელებისას. ასეთ შემთხვევაში მონაცემთა დამუშავება შეიძლება დაკავშირებული იყოს მხოლოდ ამ გაერთიანების/ორგანიზაციის წევრებთან ან პირებთან, რომლებსაც მუდმივი კავშირი აქვთ ამ გაერთიანებასთან/ორგანიზაციასთან;
ვ) ხდება მონაცემთა დამუშავება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირადი საქმეებისა და რეესტრების წარმოების, მსჯავრდებულის მიმართ მის მიერ სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ან/და მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან და მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით;
ზ) მონაცემები მუშავდება „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების აღსრულების მიზნით;
თ) მონაცემები მუშავდება მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის, დანაშაულის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებისა და არასრულწლოვანთა რეფერირების პროცესის კოორდინაციის მიზნით;
ი) მონაცემები მუშავდება „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში;
კ) მონაცემები მუშავდება მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის ფუნქციონირებისათვის;
ლ) მონაცემები მუშავდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების უფლების რეალიზების მიზნით;

მ) მონაცემები მუშავდება „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საკითხის განხილვის მიზნით.
5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე მონაცემთა დამუშავების შემთხვევაში დაუშვებელია მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე მონაცემთა გასაჯაროება და მესამე პირისათვის გამჟღავნება.

მუხლი 4. მონაცემთა დამუშავების მიზნები

სასწავლებლის მიერ მონაცემები შესაძლოა დამუშავდეს შემდეგი მიზნ/ებ/ის მისაღწევად:
ა) საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვება (ავტორიზაცია), სასწავლებლის საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელება/ფუნქციონირება, საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების/ფუნქციების შესრულება;
ბ) ვაკანტურ თანამდებობაზე თანამშრომლის შერჩევის პროცესის ორგანიზება, სასწავლებელში დასაქმებული პირების პირადი საქმეების მართვა, მოთხოვნად პოზიციებზე სარეზერვო ბაზების შექმნა და ორგანიზება, პერსონალის შეფასება, სახელშეკრულებო ურთიერთობების ფარგლებში წამოჭრილი ნებისმიერი სხვა საკითხის გადასაწყვეტად (მივლინებების, შვებულებები, პერსონალის გამოკითხვა და სხვა);
გ) საქმისწარმოების უზრუნველყოფა, დოკუმენტბრუნვის ორგანიზება და კონტროლი, სასწავლებლის საქმიანობის მარეგულირებელი აქტების შემუშავება, ფიზიკური და იურიდიული პირების განცხადებების განხილვა, კონსულტაციის გაწევა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე, სასწავლებლის წარმომადგენლობა სხვადასხვა ორგანოებსა და მესამე პირებთან ურთიერთობაში;
დ) შეფასებების წარმოება, პერსონალის პროფესიული განვითარება, პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება და ხარისხის კონტროლი, საბიბლიოთეკო საქმიანობის დაგეგმვა და მართვა;
ე) სასწავლო ბაზების მართვა, სასწავლებელში დასაქმებულ პირებთან და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულ პირებთან ეფექტური კომუნიკაცია;
ვ) სასწავლებლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა და პრევენცია, სასწავლებლის მხრიდან გაწეული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება;
ზ) სხვა მიზნით, რაც განისაზღვრება შესაბამისი მონაცემთა დამუშავების დაწყებამდე.

მუხლი 5. მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე სუბიექტები

1. მონაცემებზე წვდომა აქვს სასწავლებლის პერსონალს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.
2. მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებაში, ვალდებულია არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. ამასთანავე, მას ეკისრება ვალდებულება, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება, მათ შორის, მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ. სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების განხორციელების მიზნებისთვის.

მუხლი 6. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

3. მონაცემთა სუბიექტს ნებისმიერ დროს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ დამუშავებული მონაცემების თაობაზე, კერძოდ:

ა) რომელი მონაცემი მუშავდება;

ბ) მონაცემთა მოპოვების მიზანი;

გ) მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი;

დ) რა გზით შეგროვდა მონაცემები;

ე) ვისზე გაიცა მის შესახებ მონაცემები, მონაცემთა გაცემის საფუძველი და მიზანი.

4. მონაცემთა სუბიექტისათვის ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება სავალდებულო არ არის, თუ მონაცემები, კანონის თანახმად, საჯაროა.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის მიღების მიზნით, სუბიექტი წერილობითი განცხადებით მიმართავს სასწავლებლის დირექტორს.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდების ფორმას ირჩევს მონაცემთა სუბიექტი.

7. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს წერილობით, ზეპირად ან ელექტრონული საშუალების გამოყენებით მოითხოვოს მის შესახებ არსებული მონაცემების გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა და განადგურება. მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შემთხვევაში სასწავლებელი ვალდებულია მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის ვადაში გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ ან მონაცემთა სუბიექტს აცნობოს უარის თქმის საფუძველი.

8. თუ სასწავლებელი მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის გარეშე, თავად ჩათვლის, რომ მის ხელთ არსებული მონაცემები არასრულია, არაზუსტია ან არ არის განახლებული, მან შესაბამისად უნდა გაასწოროს ან განაახლოს მონაცემები და ეს აცნობოს მონაცემთა სუბიექტს.

9. მონაცემთა სუბიექტის მიერ ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის წარდგენის შემდეგ სასწავლებელი უფლებამოსილია განმცხადებლის თხოვნის საფუძველზე დაბლოკოს მონაცემები. აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღება შესაბამისი მოთხოვნის წარდგენიდან 3 დღის ვადაში და ძალაშია სასწავლებლის მიერ მონაცემთა გასწორების, განახლების, დამატების, წაშლისა და განადგურების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე. მონაცემთა დაბლოკვის შესახებ გადაწყვეტილება დაბლოკვის მიზეზის არსებობის განმავლობაში უნდა ერთოდეს შესაბამის მონაცემებს.

10. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს წერილობით, განმარტების გარეშე უარი განაცხადოს მის მიერვე მიცემულ თანხმობაზე და მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა ან/და დამუშავებულ მონაცემთა განადგურება. სასწავლებელი ვალდებულია მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შესაბამისად შეწყვიტოს მონაცემთა დამუშავება ან/და გაანადგუროს დამუშავებული მონაცემები განცხადების წარდგენიდან 5 დღის ვადაში, თუ არ არსებობს მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი. აღნიშნული უფლება არ ვრცელდება მონაცემთა

სუბიექტის მიერ ფულადი ვალდებულებების შესრულების შესახებ მისივე თანხმობით დამუშავებულ ინფორმაციაზე.

11. ამ მუხლით გათვალისწინებული მონაცემთა სუბიექტის უფლებები შეიძლება შეიზღუდოს, თუ ამ უფლებების რეალიზებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას:

ა) სახელმწიფო უსაფრთხოების ან თავდაცვის ინტერესებს;

ბ) საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს;

გ) დანაშაულის გამოვლენას, გამოძიებასა და აღკვეთას;

დ) ქვეყნის მნიშვნელოვან ფინანსურ ან ეკონომიკურ (მათ შორის, მონეტარულ, საბიუჯეტო და საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებულ) ინტერესებს;

ე) მონაცემთა სუბიექტისა და სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს.

12. ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული ზომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შეზღუდვის მიზნის მისაღწევად. ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას სასწავლებლის გადაწყვეტილება მონაცემთა სუბიექტს ისე უნდა ეცნობოს, რომ ზიანი არ მიადგეს უფლების შეზღუდვის მიზანს.

13. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, კანონმდებლობით და ამ პოლიტიკით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში, საჩივრით მიმართოს სასწავლებლის დირექტორს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ან სასამართლოს.

14. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, საქმის განმხილველ ორგანოს მოსთხოვოს მონაცემთა დაბლოკვა გადაწყვეტილების გამოტანამდე.

მუხლი 7. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასა და დავაზე პასუხისმგებელი პირები

1. სასწავლებელში მონაცემთა დამუშავება ხორციელდება ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით.

2. სასწავლებელში მონაცემების დამუშავებას და დაცვას უზრუნველყოფს სასწავლებლის თითოეული პერსონალი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

3. სასწავლებლის პერსონალის მიერ მონაცემთა კანონიერ დამუშავების და მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფის მონიტორინგს ახორციელებს - იურისტი, რომელსაც ევალება:

ა) მონაცემთა დამუშავების უფლებამოსილების მქონე პირებისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პერსონალური მონაცემების დამუშავების დებულებების გაცნობა;

ბ) კონსულტაციისა და დახმარების გაწევა მონაცემთა დამუშავებასა და დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

გ) მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით შემოსულ განცხადებებსა და საჩივრებზე რეაგირება.

4. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების საფუძველზე მესამე პირს (სტაჟიორი, მომსახურების ხელშეკრულება და სხვა) ევალება მონაცემების დამუშავება, ხელშეკრულების არსებით პირობას წარმოადგენს აღნიშნული პირის მიერ მონაცემების დამუშავების კანონმდებლობის დაცვა, მონაცემების კონფიდენციალობის უზრუნველყოფა და მონაცემების უსაფრთხოების დაცვა.

მუხლი 8. მონაცემთა უსაფრთხოება

1. სასწავლებელში უზრუნველყოფილია მონაცემთა დამუშავებისას და მათი შენახვისას ტექნიკური და ორგანიზაციული უსაფრთხოება.

2. მონაცემთა დამუშავების ტექნიკური უსაფრთხოება რეგულირდება სასწავლებლის მატერიალური რესურსების და ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესის შესაბამისად.

3. მონაცემთა დამუშავების ორგანიზაციული უსაფრთხოება ეფუძნება:

ა) მატერიალური რესურსების და ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესის და წინამდებარე დოკუმენტის მოთხოვნებს;

ბ) მონაცემების უსაფრთხო ფიზიკური შენახვისა და განადგურებისთვის დადგენილ წესებს (მათ შორის, მონაცემთა დაცულ ადგილას განთავსების წესი, უსაფრთხო განადგურების წესი და სხვა);

გ) მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვას მესამე პირებთან ურთიერთობაში;

დ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის თაობაზე ცნობიერების ამაღლების კონსულტირებას და/ან შესაბამისი ტრენინგების ჩატარებას.

4. სასწავლებლის ტერიტორიაზე, თვალსაჩინო ადგილებზე განთავსებულია უსაფრთხოების/ვიდეოსამეთვალყურეო კამერებთან დაკავშირებული შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები.

5. უსაფრთხოების კამერების ჩანაწერები დაცულია არამართლზომიერი ხელყოფისა და გამოყენებისაგან, ინახება დაცვის ოთახში განთავსებულ, პაროლით დაცულ სპეციალიზებულ მოწყობილობაში. ისე, რომ შეუძლებელია არაუფლებამოსილ პირთა მხრიდან მათზე წვდომა - მათი დათვალიერება, გადმოწერა, წაშლა, არასასურველი მიზნით გამოყენება, გავრცელება და ა.შ

6. უსაფრთხოების კამერების ჩანაწერები ინახება 40 დღის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ხდება ჩანაწერების ავტომატურად წაშლა.

7. უსაფრთხოების კამერების საშუალებით, გარე პერიმეტრისა და შესასვლელის მონიტორინგის ახორციელებს დაცვის თანამშრომელი.

მუხლი 9. დასკვნითი დებულება

წინამდებარე წესში ცვლილების ან/და დამატების შეტანა ხორციელდება სასწავლებლის სამართლებრივი აქტით.